

„მე და ევროპა“



ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, საქართველო-ევროკავშირის თემაზე გადაღებული ახალი ფილმის - "მე და ევროპა" ჩვენება გაიმართა, რომელიც ჩვენს საერთო ღირებულებებზე, თანასწორობაზე, თავისუფლებაზე და დემოკრატიაზე მოგვითხრობს.

დოკუმენტური ფილმი აერთიანებს სხვადასხვა ისტორიებს საქართველოს ოთხი რეგიონიდან. ფილმი კიდევ ერთხელ ასახავს ქართველი და ევროპელი ხალხის საერთო ინტერესებს და ღირებულებებს.

ფილმის ფინალური ნაწილი ამალელებელი და ოპტიმისტურია, გურიამია გადაღებული და მისი მთავარი გმირები ფესბურთელი გოგონები არიან, რომლებიც 2020 წელს მოხდნენ ევროპის ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო 32 გუნდში.

ჩვენებს გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე, საქართველოში ევროკავშირის ელჩთან



კარლ ჰარცელთან და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაესწრო.



ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოსვლის 1931 წლის 5 იანვარიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
 ყოველკვირეული გამოშვება. № 13 (10425) 30 მაისი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა



26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ოზურგეთში სხვადასხვა სახის საზეიმო და შემეცნებითი ღონისძიება გაიმართა. მუნიციპალიტეტში ღონისძიებები საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით და დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ოზურგეთის მერიის ჩართულობით ჩატარდა.

ღონისძიებას ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე სთან, თამარ ბარკალაიასთან, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩასთან, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ქეთევან მისწრაფეშვილთან ერთად დაესწრო.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა, თავდაპირველად ოზურგეთის საკათედრო ტაძრის პარკში მდებარე საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი და ეროვნული გმირის, ზაზა დამენიას საფლავი ყვავილებით შეამკეს.

მათ ასევე დაათვალიერეს მერაბ ბერიძის მემორიალის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამდებროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში, გახსნილი ჯემალი მინოშვილის სკულპტურა „ფიგურალი“, მისი ნამუშევრები, ასევე გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის წევრთა ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა.

ზაფხულში გურული ღვინის საერთაშორისო ფესტივალის გამართვა იგეგმება

ალიონი. 25 მაისს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოლის ერისთავების სასახლეში სამუზეუმო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება, რომელშიც ჩოხატაურელი და ოზურგეთელი მეღვინეები მონაწილეობდნენ.

ღონისძიებას ა.ა. ი.პ ჩოხატაურის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მეგობრობის დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი მარი შოშაშვილი უძღვებოდა.

საქართველოში ღვინის კულტურის, გურული ვაზის ჯიშების, ღვინის დაყენების ტრადიციებზე საინტერესო მოხსენებები გააკეთეს ჩოხატაურის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებმა ქეთევან ჩხიკვიშვილმა, მამია ბარამიძემ, მუზეუმის დირექტორმა ნათელა კლანდაძემ; გორაბერეჟოლის ტექნიკუმის მენეჯერმა მავრა ცინცაძემ; მეღვინეებმა: დავით კობიძემ, თემურ შარაშიძემ, ანდრო ვაშალომიძემ (ოზურგეთი), ბესიკ მეფარიშვილმა, საბა კალანდაძემ, ზურაბ თოფურიძემ, გიორგი და გურამ ტყემელიაძეებმა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ მევენახე-მეღვინეების მხარდაჭერა პროგრამებზე მუნიციპალიტეტის მერმა დავით შარაშიძემ და ირაკლი კუჭავამ ისაუბრეს. ტრადიციულად მოხადეს



ქვევრი, გაიმართა გურული ვაზის ჯიშების ღვინოების გამოფენა-დეგუსტაცია. წარმოდგენილი სხვადასხვა მარნის „ჩხავერი“, „საკმიელა“, „ცოლიკაური“, „სხილათუბანი“, „ალადასტური“, „ორონა“, „ოცხანური საფერე“, „ბადაგი“ და ა.შ.

გორაბერეჟოლში გამართული ღონისძიების შესახებ გაზეთ „ალიონთან“ ჩოხატაურის მერმა **დავით შარაშიძემ** გააკეთა კომენტარი:

— დღეს, გორაბერეჟოლის დენდროლოგიკური პარკში არაფორმალური განათლებისა და კულტურული მეგობრობის დაცვის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ღონი-

სძიება, რომელიც ემსახურება გურული ენდემური ვაზის ჯიშების ღვინის განვითარებას.

აქ სხვადასხვა მარნიდან იყო წარმოდგენილი გურული ვაზის ჯიშის ღვინოები, არა მარტო ჩოხატაურიდან, ოზურგეთიდანაც. გვეყავდა სტუმრები თბილისიდან. მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით, ჩვენ სხვადასხვა მიმართულებით ვგეგმავთ ამ ტრადიციული, ზოგადად ქართული და გურული ვაზის ჯიშების განვითარებას. აქვე, შემიძლია ვითხრათ, რომ **18 ივნისს გაიმართება გურული ღვინის საერთაშორისო ფესტივალი**, სადაც ადგილობრივ

მეღვინეებთან ერთად მოწვეული იქნებიან სტუმრები საქართველოს მთელი მასშტაბით. ჩვენ ასევე ველოდებით უცხოელ სტუმრებს, და გვინდა საფუძველი ჩავუყაროთ გურული ენდემური ვაზის ჯიშის ღვინის ფესტივალს.

— **კონკრეტულად რა სახის ფესტივალს გეგმავთ?**

— ამ ფესტივალზე წარმოდგენილი იქნებიან როგორც დიდი გამოცდილების მქონე მეღვინეები, ასევე ახალგაზრდა დამწყები მეღვინეებიც. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდებში ბევრი უკვე

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

— მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 — მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა — 150-150 ლარი;
 — 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 — ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 — შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 — პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 — მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 — სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 — გახსენება, ნეკროლოგი — სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:
 ერთი თვით — 2,40 ლარი, სამი თვით — 7,20 ლარი, 6 თვით —14,40 ლარი, ერთი წლით — 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაგვრდა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა



— „26 მაისს ვულოცავ მთელ საქართველოს, თითოეულ მოქალაქეს და უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს!
 საქართველოს დამოუკიდებლობის დღე უმნიშვნელოვანესი თარიღია ჩვენი ქვეყნისთვის! მთელი ჩვენი ისტორია თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ისტორიაა. ამ იდეისთვის იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები, სამშობლოსთვის თავდადებული გმირები და მათი ბრძოლის შედეგად 1918 წლის 26 მაისს, ასრულდა ყველა ქართველის ოცნება — საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა.
 საქართველო დღეს დამოუკიდებელი ქვეყანაა. ჩვენი უპირველესი ვალია გაუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს და დავიცვათ ჩვენი ქვეყნის თავისუფლება და სუვერენიტეტი. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, დავიცვათ ეროვნული ფასეულობები და ავაშენოთ ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო, ისეთი, როგორზეც ჩვენი წინაპრები ოცნებობდნენ და ისეთი, როგორც ჩვენს შვილებს სჭირდებათ!

26 მაისი ჩონატაურში



საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ჩონატაურის მუნიციპალიტეტში მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა.
 სტადიონზე მოეწყო სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება: დოლი, ბაგირის გადაძაღვა, საჩვენებელი შეჯიბრება რაგბიში ადგილობრივი გუნდების, „ღონესა“ და „ჯანის“ მონაწილეობით, მკლავჭიდი. გამარჯვებულებს თასი და ფულადი პრიზები გადაეცათ.
 ცენტრალურ ქუჩაზე მოეწყო სახალხო მსვლელობა სასულე ორკესტრთან ერთად. შესრულდა ქართული ტრადიციული ცეკვები.
 მოეწყო საინტერესო ფოტოგამოფენა „ჩონატაური გუშინ და დღეს“; მუზეუმის ექსპონატების და სამხატვრო სკოლის მოსწავლეების გამოფენა; XIX -XX საუკუნეების სამოსში გამოწყობილი ადამიანებისა და ყარაჩხელების წარმოდგენა. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ხელოვნების სასახლეში საზეიმო კონცერტით დასრულდა.
 2022 წლის საპატიო ჩონატაურელის წოდება მიენიჭათ გურიის მაჟორიტარ დეპუტატ ვასილ ჩიოგიძესა და დეკანოზ გიორგი ჯიბუტს.



სარეკლამო კომპანია
 რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

ოზურგეთში, „ალტ ინფოს“ ოფისთან აქცია-პერფორმანსი გაიმართა

„საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა გრძელდება“, — თავისუფლება-მშვიდობა, არანაირი მაგრამ“, საქართველოს ევროატლანტიკურ კურს ვერ აგარევენებთ“, — ამ შინაარსის ტრასფარანტებით ოზურგეთში, „ალტ ინფოს“ ოფისთან სამოქალაქო აქტივისტებმა მდუმარე აქცია-პერფორმანსი გამართეს.
 შეკრებილების განცხადებით, საქართველოს დამოუკიდებლობა დღესაც დასაცავია. მათივე თქმით, ქვეყნის დამოუკიდებლობას და მის ევროპულ მომავალს საფრთხეს პრორუსული ძალები უქმნიან.



დამოუკიდებლობის დღე ლანჩხუთში



საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა.
 ადგილობრივი ხელისუფლების პირველმა პირებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ყორდანას ბიუსტი ყვავილებით შეამკეს. შემდეგ კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვაჟა თოდუას საფლავზე ბიუსტი გასწესეს, სადაც გმირის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი აგარაკის ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა მირიანმა გადაიხადა.
 26 მაისი დატვირთული იყო სხვადასხვა სპორტული (მარათონი, ჭადრაკი, ბაგირის გადაძაღვა, მკლავჭიდი) ღონისძიებით. გამოვლინდა და დაჯილდოვდა გამარჯვებულები.
 მოეწყო მხატვარ ხათუნა ხუბულავას პერსონალური გამოფენა. საღამოს კი საზეიმო კონცერტი გაიმართა. ღონისძიებას ლანჩხუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

დაიწყეთ ყოველი
 მიზნობრივი აღიარება
 «ალიონით»

ზავსულში გურული ღვინის სამართაშორისო ფესტივალის გაართვა იბეგება



გამოცდილი მეღვინეები გვყავს. ისინი წარმოადგენენ „ჩხავერს“, „საკვილას“, „ჯანს“ და სხვა დასახელების ღვინოებს.

ფესტივალზე მოხდება ღვინის დეგუსტაცია. ასევე მსურველებს ღვინის შეძენის საშუალება ექნებათ. ამის შემდეგ კი ვფიქრობთ, იგივე სახის ფესტივალის ქ. თბილისში ჩატარებას, სადაც მას უფრო ფართო მასშტაბი ექნება.

– გურული ტრადიციული ვაზის ჯიშების გავრცელების არეალი ძირითადად საჭამიასური, ბუკისციხე-დაბლაციხე, ბახვი-მთისპირის ზონა გახლავთ...
– ჩვენი წინაპრებიდან მომდინარე-

ობს, რომ ტრადიციულად ჩოხატაურში ღვინის სამშობლოდ ბუკისციხე ითვლება. მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ არ ჩამოუვარდება ამ სოფელს იგივე საჭამიასური, გორაბერეული, ერკეთი, იანუელი...აი, ამ ზონაში არის ისეთი ნიადაგი, სადაც გურული ვაზის ჯიშები ადვილად ხარობს. ძალიან სასიხარულოა, რომ ამ ბოლო დროს, ბევრმა ახალგაზრდამ, ბევრმა ოჯახმა გააშენა ვაზის კულტურა და ეს არის ჩვენი წინაპრების გამოძახალი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს, რომ ვაზის ჯიშები არ გადაშენებულიყო.

– ბატონო დავით, გარდა ამ ღვინისძიებისა, როგორია მუნიცი-

პალიტეტის ჩართულობა მეღვინეობის განვითარების საქმეში?

– ევროკავშირის დაფინანსებით, საქართველოს ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს 2 მილიონი ლარი გამოეყო, რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდა:

თქვენ იცით, რომ გორაბერეული ღვინის დენდროლოგიურ პარკს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს, 1 მილიონ 350 ათასი ლარი დაიხარჯება ამ პარკის რეაბილიტაციაზე, 250 ათასი ლარი მოხმარდება ნოდარ დუმბაძის სასლ-მუზეუმის რეაბილიტაციას; 400 ათასი ლარი დაიხარჯება სოფელ ამაღლებაში, ქვათირში მეღვინე ამირან დოლიძის შატომდე ბეტონის მისაღველი გზის დასაგებად. ამირან დოლიძემ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა ამ სოფელში, გააშენა გურული ვაზის ჯიშები, ჩვენ გადავწყვიტეთ, ხელი შევეწყვიტოთ ამ კაცს.

ჩვენ სხვადასხვა მიმართულებით ვეხმარებით ახალგაზრდა მეღვინეებს, და ზოგადად ეს შატოს პროექტირება იქნება თუ ბეტონის საფარი, ნებისმიერ პროექტში ჩართული ვართ.

აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენ ვმუშაობთ კობიძეების მარნის მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე და ამ პროექტს წარმატებით განვახორციელებთ.

ღამიანე და მარიამ გორდელაძეებმა „სამზარეულოს ომეზში“ გაიმარჯვეს

გასულ სამშაბათს, ტვ „ფორმულას“ კულინარულ შოუში „სამზარეულოს ომეზი“ და-ძმა ღამიანე და მარიამ გორდელაძეებმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურიდან, გაიმარჯვეს და კონკურსის მთავარი პრიზი საცხოვრებელი ბინა „ემ კვადრატში“ მოიგეს.

უულოცავთ!



პოლიციამ გურიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და გურიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, უკანონო საბრძოლო მასალა ამოიღეს და 3 პირი დააკავეს.

1999 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ბ. გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთისა და ოზურგეთის რაიონული სამმართველოების თანამშრომლების მიერ, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძ-

ენა-შენახვა-ტარებისთვის არის დაკავებული. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტი და მჭიდი ნივთბეჭდვების სახით ამოიღო.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

„კატერინე გურიელის მარტვილობა“

20 მაისს, ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, გაიმართა მანანა ლომაძის წიგნის პრეზენტაცია-ეკატერინე გურიელის მარტვილობა. წიგნი ასახავს ცარისტული რუსეთის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი პატარა გურიის დედოფლის- სოფიოსა და მისი შვილების მწარე ხვედრს. თუ როგორ გააუქმა ცარისტულმა რუსეთმა გურიის სამთავრო და მიიერთა იგი დანარჩენ საქართველოსთან ერთად. წიგნი ასახავს გურიის უკანასკნელი მთავრის მამა V გურიელისა და დედოფალ სოფიოს ქალიშვილის, ეკატერინეს მოწვეულა სტუმრებას.



მძიმე ხვედრი და მისი მოწამობრივი ცხოვრება. წიგნის განხილვაში მონაწილეობა მიიღო და საკუთარი აზრი გამოთქმეს მოწვეულა სტუმრებმა.

ერთწლოვანი კულტურების მოყვანის ხელშეწყობისთვის, 67,2 მლნ ლარის 4,010 უმჯობესიანი სესხია გაცემული



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

სამინისტროს ცნობით, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა 18%-ით არის დადგენილი, საიდანაც ნახევრის, წლიურ 9%-ს, სახელმწიფო აფინანსებს.

პროექტის ფარგლებში, ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხა განსაზღვრულია 5,000 ლარიდან 100,000 ლარის ჩათვლით.

ამავე ცნობით, გაცემული სესხის მიზნობრიობა მოიცავს: ერთწლოვანი კულტურების სათესი და სარგავი მასალის, პესტიციდების, ორგანული და მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების, ტექნიკის საწვავ-საცხები მასალების შექმნაზე, ასევე, მუშახელის და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქარავებაზე გაწეული ხარჯების დაფინანსებას.

პროექტით სარგებლობა შეუძლიათ, საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეებსა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ორთხილულ პირებს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოების).

„შელავითიანი აგროკრედიტის“ ერთწლოვანი კულტურების დაფინანსების ქეკომპონენტის ფარგლებში, საფინანსო ინსტიტუტები სესხებს 2022 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გასცემენ.

შელავითიანი აგროკრედიტის პროექტში აღნიშნული მიმართულებით სესხების გაცემის მიზანია, ფერმერებს შეუძლიათ ერთწლოვანი კულტურების მოყვანის საბრუნავი საშუალებების ხარჯი და შესაძლებლობა მიეცეთ, აწარმოონ მეტი ზარისხიანი აგროპროდუქტი.

რომელიც ამ თემსეკასთან იყო

„ომი და ლიტერატურა“



მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვამბში, შალვა რადაიანის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, დვამბის საჯარო სკოლაში არსებულ კლუბ „საფინანსო“ მონაწილეობით კონფერენცია გაიმართა თემაზე – „ომი და ლიტერატურა“. კონფერენციის თემატიკა განაპირობა უკრაინაში მიმდინარე ომს.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს საინტერესო პრეზენტაციები იმ წიგნებისა, რომელიც ამ თემატიკასთან იყო

დაკავშირებული.

კონფერენციას ესწრებოდნენ: დვამბის საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგიური კოლექტივი, მუზეუმების გაერთიანებიდან წარმომადგენლები და მშობლები.

კონფერენციის ორგანიზატორია კლუბ „საფინანსო“ კურატორი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი - ნათელა დლონტი.

მასპინძლობისთვის დიდ მადლობას ვუხდით შალვა რადაიანის მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ ნინო ჯავახიძეს.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

თოჯინები ცოცხლებიან ბავშვებისთვის



ალიონი. თურქეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა თეატრი ერთ-ერთი წარმატებული საქართველოში არსებული თეატრებს შორის. ამის დასტურია სხვადასხვა სახის ფესტივალებში მიღწეული წარმატებები. ბოლო წლებში, თეატრმა 2-ჯერ გაიმარჯვა ფესტივალში „მზიანი საქართველო“. თოჯინების თეატრის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის მსახიობებს ელენე კვარაცხელიას, მარი ქილიფთარსა და ნინო გაგუას. სამთავეს მედია ჩანაწერს სან-ელობის თეატრალური კინოკადემია აქვს დამთავრებული და სასცენო მოღვაწეობის საკმაო გამოცდილება აქვთ.

გთავაზობთ მათთან საუბრის ჩანაწერს.

— რას ნიშნავს თქვენთვის თეატრის

ელენე კვარაცხელია: — 8 წელია ამ თეატრში ვმუშაობ. ეს ჩემთვის არის სამყარო, სადაც მოსვლა უხარიათ არა მათო პატარებს, არამედ მოზარდებსაც. ზოგადად, როცა ამ სამყაროში ცხოვრობ, გაცილებით უფრო ადვილია ცხოვრება, როცა სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე. ასეთი დასრულებით კი ყოველთვის გაქვს შთაბეჭდილება, რომ ცხოვრებაშიც ასე უნდა მოხდეს. ამის დამსახურებაა, რომ თეატრში მაყურებელი არ გვაკლია და კვირის განმავლობაში ხშირად გვაქვს ანშლანგი.

მარი ქილიფთარი: — თეატრი ჩემი მეორე ოჯახია, სადაც თავს ძალიან ბედნიერად და ლაღად ვგრძნობ. აქ გატარებული თითოეული დღე ჩემთვის დასამსახურებელია. ძლიერი და მეგობრული კოლექტივი. ერთმანეთთან ასეთი დამოკიდებულება თეატრის დირექტორის და სამხატვრო ხელმძღვანელის ლამა კუტალაძის დამსახურებაა.

ძალიან მიხარია ბავშვების ბედნიერი სახეები და ეს კიდევ უფრო დიდ სტიმულს მძლევს. მათი კეთილი თვალები და აბლოდისმენტები ყველაზე დიდი ჯილდოა ჩემთვის. თოჯინები ხომ ბავშვებისთვის ცოცხლებიან.

— რომელი იყო თქვენთვის ყველაზე წარმატებული სპექტაკლი და როლი?

ნინო გაგუა: — წარმატებულ სპექტაკლად გამოვარჩევ „მუჭანახევარას“ (რეჟისორი რ. ბაიზანაშვილი). ეს სპექტაკლი 2019 წელს წარ-

ადგინეთ ფესტივალზე „მზიანი საქართველო“, საიდანაც გამარჯვებულები დაებრუნდით. როლებიდან კი — ოსანა, სპექტაკლიდან „ატმის კურკის საიდუმლოება“ (რეჟისორი ოთარ კუტალაძე).

ელენე კვარაცხელია: — მეც „მუჭანახევარას“ დავასახელებ. სპექტაკლი, რომელმაც დიდი წარმატება მოგვტანა. ჩემს თავს არ გამოვყოფ — ეს ჩვენ ყველამ ერთად შევქმელით.

მარი ქილიფთარი: — კარგად მახსოვს, როცა ამ თეატრში მოვედი, ყველასთვის საყვარელი მსახიობი იური ჯიჯიყიშვილი დგამდა სპექტაკლს „წითელქუდა“. როგორც იტყვიან, მან ჩამაყვარა თეატრის პირველი მტკერი და შემდგარა საქმე, რასაც დღეს ბავშვებისთვის ვაკეთებ.

შარლ პეროს „წითელქუდა“ ეს იყო ჩემი დებიუტი. ამის შემდეგ, ვფიქრობ, ყველა ის სპექტაკლი, რომელშიც გამოცოცხლებია ზღაპრის გმირები, ყველა წარმატებულია ჩემთვის.

— თეატრი და ოჯახი, როგორ უთავსებთ ერთმანეთს?

— ნინო გაგუა: — თეატრში ვმუშაობდი და ოჯახებამდე. დაოჯახების შემდეგაც არ შემეცვლია ჩემი პროფესიული საქმიანობა. მყავს ორი შვილი, ისინი ახლა ჩემი მაყურებლები არიან. ოჯახი გვერდით მიდგას პროფესიულ მოღვაწეობაში.

ელენე კვარაცხელია: — ბევრი ფიქრობს, რომ ქალმა ერთ-ერთი უნდა აირჩიოს. მე კი საბედნიეროდ, ძალიან გამიმართლა, ვინაიდან ხელმეწიფობა ოჯახისგან და მუულისგან ყოვე-

ლთვის მაქვს. უფრო მეტიც, ჩემს მეუღლეს ჩვენი თეატრის ოჯახის წევრად თვლიან. ჩვენ ერთმანეთს ყველა საქმეში ხელს ვუწყობთ.

მარი ქილიფთარი: — ჩემი ოჯახი ყველაზე საიმედო კედელია ჩემთვის. რომ არა მათი გვერდში დგომა, მე ვერ შევძლებდი ამ ყველაფერს. მაღლობა ჩემი ოჯახის თითოეულ წევრს, განსაკუთრებით კი, ჩემს მეუღლეს, რომელიც დიდ პატივს სცემს ჩემს საქმიანობას და ძალიან მეხმარება პროფესიულ წინსვლაში.

— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

ნინო გაგუა: — ახლა უფრო მოტივირებული ვარ, ვიდრე წინა წლებში და მინდა უფრო გავიზარდო პროფესიული თვალსაზრისით. ყოველი ახალი სპექტაკლი ახალ ცოდნას მძლევს. მინდა ახალი გმირები, მონაწილეობა მივიღო სხვადასხვა ფესტივალებში, მეტი ნომინაცია შევიძინო ჩემს თავს და თეატრს ჩემი შესრულებული როლებით.

ელენე კვარაცხელია: — ასე ვიტყვი: „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა“. დრო გვიჩვენებს ყველაზე კარგად ყველაფერს.

მარი ქილიფთარი: — ახლო მომავალში ვგეგმავ ავიმადლო ცოდნა ჩემს პროფესიულ საქმიანობაში. ბევრ საინტერესო სპექტაკლებს ვპირდებით ჩვენ ერთგულ მაყურებელს, ფესტივალებს, რომლებიც ახალ წარმატებებს მოუტანს ჩვენს თეატრს.

ვრჩები ჩემს საყვარელ თეატრში და ვაგებულებ საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს.

გულით ნაკარნახევი სამედიცინო



მსოფლიო პანდემია, კორონა ვირუსი, შემდეგ რუსეთ-უკრაინის ომი, მოსალოდნელი გლობალური კლიმატური დათბობა — ეს ფაქტორებია, რომლებიც ადამიანებს უამრავ საფიქრალს უჩენს. ყველაზე რთული მანც სასურსათო უსაფრთხოების საკითხებია, რამდენადაც საქართველოს დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება. ხელისუფლება გვაიმედებს, რომ საქართველოს გააჩნია შიდა და გარე რეზერვები მოსალოდნელი საშიშროების დასაძლევად. ქართველი კაცი ყოველთვის გამოირჩეოდა გონიერებით და საქმისადმი სიყვარულით, თუმცა ქვეყანაში განვითარებული შიდა და გარე პოლიტიკური ვითარების გამო ადამიანები რატომღაც ინდივიდუალურად გახდნენ — მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნული შემოსავალი, მაშინ როდესაც ხორბლის 90% საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს, ბოსტნეულის, ხეთის, ხორცის 80% — იმპორტირებულია — სოფლები დაიცალა ადგილობრივი მაცხოვრებლების-

აგან და ლუკმაპურის საშოვნელად ან ქვეყნის დიდ ქალაქებში გადაინაცვლეს ან საზღვარგარეთ ემიგრანტობა არჩიეს. შედეგი როგორია? გავგულრებული სავარგულები, მიტოვებული ბაღები, ვენახები. მიუხედავად ხელისუფლების მიერ გატარებული მთელი რიგი რეფორმებისა ვერ იქნა და მოსახლეობამ მამა-პაპისეული კარ-მიდამოსაქენ პირი ვერ იბრუნა. თუმცა არიან ერთეული ადამიანები, რომლებიც არ დალატობენ ტრადიციებს და სოფლებს ნელ-ნელა უბრუნდებიან. ასეთ ადამიანებზე უნდა ვწყოთ, წავახალისოთ და სტიმული მივცეთ სხვებსაც ანალოგიურად მოიქცნენ.

ბატონი **იოსები ბასილია** ჩვეულებრივი ქართველია, თბილისიდან რამდენიმე წლის წინ გადაწყვიტა გურიაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაისუბანში მის მამა-პაპისეულ საცხოვრებელში დაბრუნება, მით უმეტეს, როდესაც აქ მართლებია მოხუცი მამა ელოდებოდა. ბ-ნი იოსები სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორია, ორი ვაჟი-აგისა და შვილიშვილების პატრონი მეუღლესთან ერთად დაბრუნდა სოფელს, ჩვეული ენერგიით დაიწყო კარ-მიდამოს მოწესრიგება. დღეს მის ეზოში რას არ ნახავთ, ვაზი, ციტრუსები, ხეხილოვნები, პირუტყვიც კი გაიჩინა, ნამდვილად ენერგიული კარგი ორგანიზატორული ნიჭიც გააჩნია.

როდესაც დასავლეთ საქართველოში, ანასეულში სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახური

ჩამოყალიბდა, ბატონი იოსები კონკურსის წესით ამ სამსახურის უფროსად მოგვევლინა. აგერ უკვე ხუთი წელია ბ-ნი იოსები ამ სამსახურთან ერთად ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათის და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ლაბორატორიასაც ხელმძღვანელობს — და მინდა გითხრათ წარმატებულად. მისი პიროვნული ხასიათი, საქმისადმი პროფესიონალიზმი და სიყვარული ლაბორატორიის მიერ ბოლო წლებში ჩატარებულ აქტუალურ საკითხებს უკავშირდება. იგი შესანიშნავი ხელმძღვანელი და მენეჯერია, მისი ხელმძღვანელობით ლაბორატორია კეთილმოეწყო, გაშენდა საკოლექციო ნაკვეთები, საფუძველი ჩაეყარა სერთიფიცირებული სანერგე მურნეობის ორგანიზაციას, ახლახან ლაბორატორიას დაემატა მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი. ლაბორატორიის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის წარმატებით განხორციელების საქმეში განუზომელი წვლილი შეაქვს მეცნიერების დოქტორს ქ-ნ **რუსუდან ტაყიძეს** — რომელიც აგერ უკვე 50 წელია წარმატებით ემსახურება ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღმავლობას. დიან, ანასეული ერთ დროს საკავშირო მნიშვნელობის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ადგილსამყოფელს წარმოადგენდა, — დღეს ისევ განაგრძობს ცხოვრებას მცირე მასშტაბებით, მაგრამ დიდი რულუნებითა და სიყვარულით. მე აგერ უკვე 80 წელს გადაცილებული პიროვნება, რომელმაც 60 წელი ამ

ორგანიზაციაში გავატარე დღესაც ახალგაზრდების გვერდით ვეწევი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. გული მტკივა როდესაც ერთ დროს აყვავებული საქართველო შიმშილის ზღვარზეა. დასავლეთ საქართველო ჩაის პლანტაციებით, ციტრუსებით და სხვა კულტურებით მსოფლიო მასშტაბით მე-5-6 ადგილზე მოიხსენიებოდა, ბოლო 30 წლის განმავლობაში კატასტროფულად დაეცა. რატომ უნდა შემოქონდეს ქვეყანას ჩაის პროდუქცია სხვა ქვეყნებიდან და ამაში ჩვენი მოსახლეობის ჯიბეებიდან მილიონობით დოლარი გაედინება, მაშინ როდესაც ჩვენ ქვეყანას აქვს ჩაის პროდუქტზე ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილების შესაძლებლობა და პარალელურად საქესპორტო პროდუქციის წარმოებაც კი.

ანასეულის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი საკუთარი ინიციატივით იძიებს ჩაის ქართულ ჯიშებს, აგროვებს როგორც თესლით ისე ვეგეტატიურად და შესაძლებლობის ფარგლებში ფერმერებს სთავაზობს მაღალხარისხოვანი სამრეწველო პლანტაციების გასაშენებლად. ჩვენმა მკითხველმა ბევრჯერ მოისმინა ჩაის ჯიში „კოლხიდის“ შესახებ, რომელიც აგერ კიდევ 1939 წელს იქნა კლონური სელექციით შერჩეული ჩაქვის ჩაის სამრეწველო პლანტაციებში. აღნიშნულ ჯიშს ანალოგი არ გააჩნია, ჩვენ დავიწყეთ ამ ჯიშის ნერგების გამოყვანა-რეაბილიტაცია. გავაშენეთ სადედე სათესლე და საკალმე ნაკვეთები, თუმცა ჩვენი გულისტკივლი ყოველთვის იყო ის ისტორიული ბუნქ-მცენარე, საიდანაც

ამ ჯიშმა დაიწყო გამრავლება უპატრონოდ იყო მიტოვებული, გაველურებული ჩაქვის საკოლექციო ნარგაობაში. და როდენ საოცრება იყო ჩემთვის, როდესაც ერთ მშვენიერ დილას ამ ბუნქს ვხედავ ანასეულის ლაბორატორიის საკოლექციო ეზოში. დიან ძვირფასო მკითხველო! ბ-მა იოსებმა ორგანიზაცია გაუკეთა 100 წლიანი ბუნქის ჩაქვის გავგულრებული ტერიტორიიდან, ანასეულში გადმოტანას და ისტორიულ ობიექტად ქცევას.

ჩვენს საკოლექციო ბაღში გარდა ჩაის კულტურისა 30-მდე სუბტროპიკული, კენკროვანი და სხვა კულტურების ჯიშ-ფორმებმა მოიყარა თავი. მისი ინიციატივით ახლახან ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ გამოცემული წიგნი „სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია“ ფერმერების, გლეხების საუკეთესო გზამკვლევს წარმოადგენს, ამ რევიონში ტრადიციული და ახალი კულტურების გაშენების მოვლა-მოყვანისა და ექსპლუატაციის საკითხებზე.

დიან, ღმერთმა ამრავლოს ასეთი კეთილგონიერი, საქმიანი და პროფესიონალი ადამიანები, იმედია ანასეულის დიაგნოსტიკური ცენტრი ბ-ნი იოსების ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მეტ სერიოზულ წარმატებებს მიაღწევს ქვეყნის სასურსათო პრობლემების უსაფრთხოების დაცვის საკითხებში.

ზაპურ ბაბრიძემ
ს.მ.მ. დოქტორი, პროფესორი

ოთარ კუტალაძე – 70

ნახევარი საუკუნე ოზურგეთის თეატრთან ერთად



ბატონი ოთარი აზუსტებს - 49 წელიწადია ოზურგეთის თეატრი არ დამიტოვებიაო. მისი დილა თეატრზე ფიქრით იწყება. 1973 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი, დრამის მსახიობის სპეციალობით (პედაგოგი პროფესორი ლევან მირცხულავა). იმავე წელს მოვიდა ოზურგეთის თეატრში. არასოდეს უნანია, რომ არჩევანი ოზურგეთზე შეაჩერა და ოზურგეთელობა მიირგო. აქ დაოჯახდა - მეუღლე, ლია მარტიაშვილი ოზურგეთის თეატრის მსახიობია, შვილი - ლაშა, ოზურგეთის თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი, ქალიშვილი, მაია უცხო ენების სპეციალისტია. ბატონი ოთარი ოზურგეთის დრამატულ თეატრში იყო მსახიობი - სამოცდაათამდე შესრულებული როლით; დამდგმელი რეჟისორი, მცირე სცენის მთავარი რეჟისორი, თეატრის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი, მხარამის კულტურის სახლის რეჟისორი... მან 1985 წელს დაამთავრა ლუწარსკის სახელობის მოსკოვის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის უმაღლესი სარეჟისორო კურსები და დღეს ოზურგეთის თეატრის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივ სტაჟიანი რეჟისორია. შესაბამისად, ყველაზე მეტი - დაახლოებით ოთხი ათეული სპექტაკლის პრემიერა იხეიმა. ეს გზა არ ფოფილა მარტივად გასავლელი - ითხოვდა შრომას, სიყვარულს, ენერჯიას და სანაცვლოდ იძლეოდა ცნობადობას, აღიარებას, სიყვარულს, მეგობრებს... წლების მანძილზე მიღებული ჯილდოებიდან გამოარჩევს - 2018 წ. - ალექსანდრე წუწუნავას სახელობის ჯილდო; 2010 წ. - ღირსების ორდენი, ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის

საქმეში გაწეული წვლილისათვის; 1988 წ. - ბულგარეთის დრამატურგიის მესამე საერთაშორისო ფესტივალის საპატიო სიგელი სპექტაკლის რეჟისორისათვის - „ჩვენ ყარყატებისა არ გვეკერა“, ნ. იორდანოვი; 1988 წ. - საქართველოს სსრ უმაღლესი საპატიო სიგელი. საუბრილოდ ამ ჯილდოებს შეემატა დიდი ქართველი რეჟისორის ვასო ყუშიტაშვილის სახელობის ჯილდო, რომელიც თეატრალური საზოგადოების სახელით გადასცემს ბატონებმა - ვასო ჩიგოგიძემ და დიმიტრი ხეთისიაშვილმა. როგორ ხედავს თეატრის ხელოვნებას განვლილ გზას? ჩვენი საუბარი მხოლოდ მის სამუშაო გამოცდილებას შეეხო:

ოთარ კუტალაძე: „- თითქმის ნახევარი საუკუნეა ჩემი ყოველდღიურობა არის ჩვენი თეატრი - ფაქტობრივად ყველა მსახიობთან, შემოქმედებით-ტექნიკურ პერსონალთან მომიწია ურთიერთობა როგორც მსახიობსა და როგორც რეჟისორს. ჩემი პირველი როლი იყო ზაზა ნაკაშიძე, რეჟისორ ნოდარ იონათამიშვილის სპექტაკლში ნოდარ ღუმუბაძის „თეთრი ბაირაგები“, ხოლო ჩემი როგორც რეჟისორის დებიუტი შედგა სპექტაკლით „შენიკენ საგალი გზები“ (ლაშა თაბუკაშვილი). ძირითადად, ოზურგეთის თეატრი ყოველთვის წარმატებული იყო, მისი ყველაზე მძიმე დღეები, გასული საუკუნის 90-იანი წლები, დაემთხვა ჩემი სამხატვრო ხელმძღვანელობის პერიოდს. ხშირი იყო აქციები თეატრის კიბეებზე, სხვადასხვა დაჯგუფებები ცდილობდნენ შემოჭრას შენობაში. მაშინ დირექტორი იყო ბატონი რეზო სარიშვილი. ბატონ რეზოსთან ერთად მთელი კოლექტივი დარაზმული ვიყავით. გვიხდებოდა თეატრის გადარჩენისათვის ბრძოლა, ერთუზიანობა მუშაობა. გაურკვეველი დროით იგვიანებდა



ვეფხვია, „განკიცხული“;

მიზნული ხელფასი. მიუხედავად ამისა, თეატრი თითქმის არავის მიუტოვებია, ერთად გავიარეთ ეს გაუსაძლისი დრო. ხშირად მიფიქრია და ცდუნებაც დიდი იყო უფრო შემოსავლიანი საქმის საძიებლად. ვცადე კიდევ, ჩემმა ძმამ ბიზნესი ჩამაბარა. მხოლოდ თხუთმეტი დღე გავუძელი „ბიზნეს-მენბასს“. ვერ შევძელი უთეატროდ. იმ პერიოდში ქვეყანასაც უჭირდა. მიხარია, რომ ჩვენ შევძელით თეატრის სახის შენარჩუნება. 2006 წელს თეატრის დირექტორი (მმართველი) გახდა ენერჯიული, მოტივირებული ახალგაზრდა, მსახიობი ზაზა ჯინჭარაძე, მასთან ერთად თეატრში დაიწყო რეაბილიტაციის პერიოდი. მართალია, მწირი, მაგრამ გაჩნდა რაღაც თანხები. სპექტაკლებსაც ვდგამდით, ფესტივალებსა და გასტროლებსაც დავდიოდით, თუმცა რეჟისორების მოწვევა - შეუძლებელი იყო, მინიმალური სადადგმო ხარჯები ამის საშუალებას არ იძლეოდა. მაინც ერთუზიანობა იყო მთავარი, ხოლო ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ არსებობდა... რაც გვქონდა ის ფაქტობრივად სამუშეო ექსპონატები იყო. მაღლობა ყველა თაობის წარმომადგენლებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ ჩვენს გვერდით. მათ შექმნეს და გააგრძელეს ოზურგეთის თეატრის საუკეთესო ტრადიციები. მეც ბევრი ვისწავლე მათგან, საუკეთესო დასი იყო შემოქმედებითად და ურთიერთობებითაც. თეატრს შემოქმედებით-ტექნიკური პერსონალი კარგი ჰყავს ყოველთვის. თეატრის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ვასო ჩიგოგიძეს, რომელიც სხვადასხვა პერიოდში წარმატებით ხელმძღვანელობდა თეატრს, გარკვეული წლები წასული იყო სხვადასხვა პოზიციაზე საქართველოში და ევროპაში, 2013 წლიდან დაბრუნდა და თეატრს ბევრი გამარჯვება მოუტანა. მისი ძალისხმევითა და ბატონი ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებით შენობის რეაბილიტაციამ ოზურგეთის თეატრი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ევროპის ქვეყნების დონის გახდა. დღეს ოზურგეთის თეატრი ქვეყნის მასშტაბით არის გამორჩეული და უცხოეთის ფესტივალებიდანაც პრიზებით ბრუნდება. ჩემი ყველაზე დიდი მონაპოვარი არის თოჯინების თეატრი. იგი 1995 წელს, რაიონის ხელმძღვანელობის და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით თანამოაზრეებთან ერთად დაფუძნდა. მას შემდეგ წარმატებულად ვმუშაობთ. გზად გვახვავს სხვადასხვა პრობლემის დაძლევა. ამ ეტაპზე მოსაგვარებელია თეატრის შენობის საკითხი და იმედია დღევანდელი ხელმძღვანელობის თანადგომით მალე მოგვარდება. ეს ორი თეატრი ჩემი ცხოვრების ნაწილია, სანამ შემიძლება ვეცდები ჩემი პატარა აგური დავლო მათ საქმიანობაში. განსაკუთრებით, მაღლობას ვუხდი მაყურებელს ერთგულებისა და მხარდაჭერისათვის.“



„თავმჯდომარე“ (მ. ორაგველიძე).

გვაბაზ მერგელიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი: „- ოთარ კუტალაძე ოზურგეთის თეატრის ამაღლარი ხელოვანია. იგი ვერ მსახიობი იყო და არა ერთი საინტერესო სახე შექმნა. პარტნიორობას უწევდა დიდ ვერიკო ანჯაფარიძეს სპექტაკლში „შთამომავლობა“ სარეჟისორო ფაქულტეტის დამთავრების შემდეგ არაერთი სპექტაკლი განახორციელა და სამხატვრო ხელმძღვანელიც გახლდათ. ხუთი წლის მანძილზე ამ თეატრის კურატორი ვიყავი და მჭიდრო თანამშრომლობა მაკავშირებდა. ჩამოვდიოდი პრემიერებზე და დასთან ერთად ვაწყოდი განხილვებს. ოთარი ყოველთვის დიდი გულისყურით მისმენდა და შენიშვნებს ითვალისწინებდა. ვმსჯელობდით პრობლემებსა და სავასტროლო რეპერტუარზე. ეს იყო საინტერესო შემოქმედებითი თანამშრომლობა. ოთარმა თოჯინების თეატრიც ჩამოაყალიბა და მომავალ თაობებს თეატრის სიყვარული ასწავლა. ასეთი საინტერესო შემოქმედებით ხედება ის 70 წლის საიუბილეო თარიღს და აქტიურად განაგრძობს მუშაობას. ვულოცავ ოთარს და ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს.“

ბატონმა ოთარმა თქვა - თეატრია ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი, საუბრითაც მხოლოდ თეატრზე ისაუბრა. ფაქტია - ამ მსახურებისას მან ჯილდოები, ავტორიტეტი, დამსახურა. ეს ავტორიტეტი მისი პიროვნების თანმდევაა, რითაც იცნობს და აფასებს, სამეგობრო, საზოგადოება, კოლეგები... ისევე გადაიკვეთება მისი და თეატრის წარმატების გზები.

ლია კილაძე,

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის პრეს სამსახური

„ოთარი სცენის სიყვარულით იძინებს და იღვიძებს“



ალიონი. რეჟისორ ოთარ კუტალაძის დაბადების დღის მისალმობად ოზურგეთში მეგობრები ჩამოვიდნენ. მათგან გაზეთი „ალიონი“ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს დამსახურებულ არტისტს **თამილა მეთეველიძეს** ესაუბრა:

—დღეს ჩვენი თანაკურსელის, მეგობრის, კარგი მსახიობისა და რეჟისორის ოთარ კუტალაძის დაბადების დღეა. თეატრალური ინსტიტუტის თანაკურსელები, ჯგუფელები, მარინა ხუზუნიაშვილი, ციალა მელიქიშვილი, ზურაბ შილაკაძე და მე, ჩამოვედით ოზურ-

გეთში, რომ ოთარს მივულოცოთ ეს მნიშვნელოვანი თარიღი.

კარგად იცით, რა მდგომარეობა იყო ქვეყანაში პანდემიის შემდეგ, და ვოცნებობდი, რომ ფარდა ახდლიყო და ჩვენც პირადის გარეშე ვყოფილიყავით. დღეს ამის ბედნიერება გვაქვს.

თბილისის თეატრალური ინსტიტუტში სწავლისას გაგვიმართლა და გავიარეთ კარგი სკოლა. ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ლევან მირცხულავა. თავად ბატონ ლევანს ცნობილი რეჟისორის ვასო ყუში-

ტაშვილის სკოლა ჰქონდა გავლილი. ბატონი ლევანი ხშირად გვიყვებოდა, როგორ ხელმძღვანელობდა ბატონი ვასო გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთში ანტუანის თეატრს, შემდეგ შარლ დიულენთან ერთად როგორ ჩამოაყალიბა ფრანგული თეატრი „ატელიე“, ნიუ იორკში და ნიუ ორლეანში განხორციელებული დადგმების შესახებ და რაოდენ სასიხარულოა, რომ დღეს, სწორედ ვასო ყუშიტაშვილის სახელობის ჯილდო გადაეცა ოთარ კუტალაძეს.

ვისაც ოთარ კუტალაძის ნამუშევრები უნახავს, და საერთოდ უნდა იცოდეს მისი ისტორია, როგორ გაიარა რთული წლები, რასაც გაჭირვება ერთევა, ერთუზიანობით, როგორ გარემოში დგამდნენ სპექტაკლებს.

ოთარი ისეთი ადამიანია, რომელსაც არასდროს ხიბლავდა სკამი, — განათლებული, კულტურული, თავდაჭერილია და იმსახურებს დიდ სიმამრებს. სიყვარული არის ის ჯილდო, რაც მან მისი შემოქმედების გზაზე მოიპოვა შრომით, როგორც დრამის თეატრის რეჟისორმა და ოზურგეთში თოჯინების თეატრის ფუძემდებელმა.

არაა ადვილი, 70 წელი შემოხაზო და ამდენი ნაშრომი გქონდეს, ამდენი როლი შესრულებული და ამდენი სპექტაკლი გაკეთებული. კარგი ტანდემია ოთარი და მისი ვაჟიშვილი ლაშა, რომელიც წარმატებით უძღვება თოჯინების თეატრს.

შემიძლია თამამად ვთქვა: ოთარი სცენის სიყვარულით იძინებს და იღვიძებს.

ოზურგეთის სამუსიკო სკოლის წარმატება



ქ. სენაკში საქართველოს ხელოვნების აკადემიამ ჩაატარა რიგით მე-9— დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხელოვნების ფესტივალი.


ფესტივალი ჩატარდა სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მე-2-ის პატრონაჟით და სენაკის მონიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, კულტურის სამსახურის და „ხელოვნების ცენტრის“ მხარდაჭერით.

ფესტივალი თვალისწინებს რეგიონების სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების მომხმარებელთა დასავლეთურებას. (ჟორის თავმჯდომარე: ხელოვნების აკადემიის რექტორი — ვალერიან შოკაშვილი).

ფესტივალზე გამოვიდნენ ლაურიატები და დიპლომანტები. **ფესტივალში მონაწილეობდა ოზურგეთის გრიგოლ კილაძის სახელობის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელმა სააკაძემ და მისი მოსწავლეები.** (ხელმძღვანელი თამა კვიციანი).

ეროვნული მოძრაობა რევოლუციის პერიოდში

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად



ჩვენი ქალაქები: ქუთაისი, ოზურგეთი, ზესტაფონი, ზონი, ჭიათურა და ასოთხი სოფელი და დაბაან მთლად ან ნაწილად აგრეთვე გადაბპუგეს და გამარცხეს. ვენახები, ბაღები და სამეურნეო საწყობები სრულიად მოსპეს; საქონელი დაგვიკლეს და გაიტაცეს; ასი-ათასობით გლეხობა შიშველ-ტიტველა დასტოვეს ღვთის ანაბარად. ასობით უდანაშაულო ადამიანები უწყალოდ დახოცეს; ხალხი ტყვეებში დამთხვებში, რადგან ძალ-მომრეობასა და ბარბაროსობას საზღვარი და დასასრული აღარა ჰქონდა. ამ ბარბაროსობისა და ძალ-მომრეობის მსხვერპლად ხშირად ქალებიც ხდებოდნენ, რაცა ქვეყნის ემცნო იმ მოწოდებით, რომლითაც ქართველმა ქალებმა მიმართეს მთელი ქვეყნის განათლებულ ერთა ქალებს.

მემორანდუმის შემდგენლებს არც 1905 წლის 29 აგვისტოს თბილისის სათათბიროში, 22 ოქტომბერს გოლოვინის(რუსთაველის) გამზირზე და 22 დეკემბერს ნაძალადეგში რუსეთის ჯარისა და რუსი შავრახმელების მიერ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა დავიწყებიათ: „თბილისშია კი, ჩვენ სატახტო ქალაქში, მთავარ-მართებისა და უმაღლესი ადმინისტრაციის თვალ წინ, მათის ნებითა და შთავონებით, სამჯერ მოხდინეს უწყალო ჟლეტა: 29 აგვისტოს, 22 ოქტომბერსა და 22 დეკემბერს 1905 წელს.“

რეპრესიების მოკლედ, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავად წარმოადგენის შემდეგ მემორანდუმის ავტორები აცხადებდნენ: „ასეთი დევნა, ასეთი დაჩაგრვა, ასეთი სასოწარკვეთილება, ასეთი სირცხვილი და დამცირება საქართველოს ერს არ განუცდია თემურლენგის შემოსევის დროიდან.“

საქართველოში შექმნილი ტრაგიკული ვითარების დახატვის შემდეგ მემორანდუმის შემდგენლები უშუალოდ სათქმელზე გადადიან: „ასეთ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში მყოფმა ქართველმა ერმა გადასწყვიტა დაეყენებინა რუსეთის მთავრობის ჩვენში უკანონო მოქმედებათა საკითხი ევროპისა და მთელი ქვეყნის განათლებულ ერთა წარმომადგენლების სამსჯავროს წინაშე: რუსეთის საიმპერატორო მთავრობამ დაარღვია

საერთა-შორისო დამოკიდებულებათა ძირითადი კანონები, რომელთა მორჩილება საკვალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის საერთაშორისო უფლების ძალით.“ მემორანდუმის ავტორებმა მიანიშნეს, რომ ევროპის სახელმწიფოთა დახმარებით ოსმალეთის ბატონობისაგან თავი დაიხსნეს, ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს და კულტურულ კაცობრიობას შეუერთდნენ ბულგარეთი, რუმინეთი და სერბეთი. მემორანდუმში გამოთქმულია რწმენა, რომ ევროპა, საერთოდ, კულტურული კაცობრიობა დახმარებას აღმოუჩინდა ქართველ ერს: „საქართველოს ერს იმედი გვაქვს, რომ ჩვენს საქმეს ყურადღებას მიაქცევენ, თანაუგრძნობენ, გადასწყვიტენ სამართლიანად და ევროპა აიძულებს რუსეთს, დაემორჩილოს საერთა-შორისო უფლების წესებს და რუსეთის პროტექტორატის ქვეშე თანახმად ზემოხსენებულ ხელ-შეკრულებათა დაგვიბრუნოს ქართველებს ჩვენი ტერიტორია და ალგვიდგინოს წართმეული ჩვენი ეროვნული ავტონომია.“


ამრიგად, მემორანდუმი ითხოვდა რუსეთის იმპერატორის მიერ უკანონოდ გაუქმებული საერთაშორისო ხელშეკრულების – 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის – პირობებზე დაყრდნობით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის შექმნას და ევროპის გაგვლიანი ძალების ჩარევის შედეგად ჩვენში არსებული განუკითხავობისა და ძალმომრეობის აღკვეთას. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ქართველი ერის ეს უკანასკნელი ცდაც დარჩა „ხმად მლაღადებლისად უდაბნოსა შინა“...

10. ირაკლი წერეთელი ავტონომიის შესახებ. ქართველი სოციალ-დემოკრატები რევოლუციის დამარცხების შემდეგაც არ წყვეტდნენ ბრძოლას საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ. 1907 წელს გამოვიდა ირაკლი წერეთლის ბროშურა „ისტორიული წერილები“. ავტორი პირდაპირ შეტევაზე გადადის: „რას წარმოადგენს ეს ნანატრი ავტონომია? ეს არის მოთხოვნა ყველა რუსეთში მცხოვრებ ერის სრულ პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ

გათანასწორებისა? მოთხოვნა ყველა ერისათვის (და მამასადამე, ქართველებისათვისაც) სამშობლო ენის თავისუფლად ხმარების უფლებისა ყველა ადგილობრივ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამოსამართლო დაწესებულებებში და სამშობლო ენაზე განათლების მიღების უფლებისა? არა... ფედერალისტების ავტონომია სულ სხვა ჯურის რამ არის და სულ სხვა მიზნისათვის არის დანიშნული. „საქართველო ქართველებისათვის“ – აი, მოკლედ მათი ეროვნული მოთხოვნის შინაარსი... მათ სურთ ქართული ენა, ქართული სასამართლო, ქართული კანონი გააძეფონ ყველა მცხოვრებლებისათვის. ეროვნული თანასწორობა კი არა, ეროვნული პირველობა სურთ მათ ქართველებისათვის საქართველოს საზღვრებში.“ ირაკლი წერეთელი დუმს იმის შესახებ, რომ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თავის ისტორიულ მიწა-წყალზე ქართველები მოკლებული იყვნენ მშობლიურ ენაზე განათლებას, საქართველოში მოქმედებდა რუსული კანონები და სასამართლოში საქმის წარმოებაც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. იმავე მდგომარეობაში იყვნენ კავკასიის სხვა ერებიც.

1908 წელს ჟურნალ „ცხოვრების სარკის“ მეათე ნომერში ირაკლი წერეთელი კიდევ ერთხელ დაესხა თავს საქართველოს ეროვნული ავტონომიის იდეას: „საქართველოს ნაციონალური ავტონომია, რაგინდ დემოკრატიული იყოს იგი, წარმოადგენს ქართულ ნაციონალიზმის დიდებულ გამარჯვებას და ამიერ კავკასიის ერთა შორის ნაციონალური ბრძოლის დაკანონებას.“ ავტორის აზრით, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების მიზანს წარმოადგენდა: „ქართველების გაბატონებულ კლასების მმართველ კლასად გამოცხადება, ხოლო ამ კლასების პრინციპი კი სხვა ნაციის წინააღმდეგ გალაშქრება, სხვა მასზე უფრო სუსტი ნაციის დევნა.“ ირაკლი წერეთელი ფედერალისტებს ასეთ ბრალდებას უყენებს: „ფედერალისტებს სახეში აქვთ მარტო ქართველი ერი და მით ემზგავსებიან ყველა ერის, როგორც დამორჩილებულის, ისე გაბატონებულის, ნაციონალისტებს“. ავტორის მსჯელობა, თუნდაც იგივე ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, არასდროს ყოფილა ღრმა და საფუძვლიანი. ყოველგვარ ლოგიკას და ობიექტურობას მოკლებული ქართველი სოციალ-დემოკრატის ბრალდებები იმდენად უსუსური იყო, რომ სერიოზული ოპონირების დროსაც არ თვლიდნენ. 1907 წლისათვის ირაკლი წერეთელი უკვე საბოლოოდ მოსწყდა ეროვნულ ნიადაგს და რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების მქადაგებლად მოვედინა საზოგადოებას.

11. ნოე ჟორდანიას ავტონომიის შესახებ. ნოე ჟორდანიამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1904 წელს დაწერილ ნაშრომში „ქართველი ნაციონალისტები“ პრინციპულად მიუღებლად მიიჩნია საქართველოს ეროვნული ავტონომიის იდეა. პოზიცია ქართველ სოციალ-დემოკრატს არც მომდევნო წლებში შეუცვლია. საქართველოს ავტონომიის იდეის წინააღმდეგ ბრძოლა ნოე ჟორდანიამ 1908 წელს გამოცემულ ნაშრომში „ქართველი ხალხი და



ირაკლი წერეთელი



ნოე ჟორდანია

ნაციონალიზმი“ გააგრძელა. ეს ნაშრომი თავისი ხასიათით კიდევ უფრო ნიჰილისტურია, ვიდრე 1904 წელს გამოცემული „ქართველი ნაციონალისტები“. ნოე ჟორდანია ასე იწყებს მსჯელობას: „იშვითა ისეთი ერი, სადაც ნაციონალურ მიმდინარეობას დიდი გასავალი არ ქონდეს. ნაციონალიზმის მაგარი ბუდე, განსაკუთრებით დამორჩილებული, სხვის უღელქვეშ მყოფი ერებია. საქმარისა გავისხენოთ პოლონელები, რომელთაც თითქმის დაპატრონებია შოვინისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტია და ჩვენი მეზობელი სომხები, რომლებიც დაშნაკუტუნის ბატონობისაგან ჯერაც ვერ გამოსულან.“ როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანია უარყოფით მოვლენად მიიჩნევს პოლონელებისა და სომხების ეროვნულ მოძრაობას, განსაკუთრებით კი იმას, რომ რუსეთისაგან დაპყრობილ ამ ორივე ერში დიდი გავლენა სწორედ ეროვნულ-პოლიტიკურ პარტიებს მოუპოვებიათ. ეს კიდევ არააფერია იმასთან შედარებით, როგორაც ნოე ჟორდანია თავისი მშობელი ერის ნაციონალურ მისწრაფებებს აფასებს: „სულ სხვაა ჩვენში. არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორაც ქართველ ხალხს. არსად ისე სუსტი და გავლენას მოკლებული ნაციონალისტური პარტიები არ არიან, როგორც არიან ჩვენში. ჩვენმა ინტელიგენციამ დიდი შრომა გასწია, დიდი ენერჯია დახარჯა იმისათვის, რომ რაიმე გზით მას მიეგნო ხალხის გულისათვის და შივ ნაციონალიზმი დაესადგურებია(...). ანტირუსული და ანტიომბუხური მიმდინარეობა ჩვენში ყოველთვის ინტელიგენციის გამოვონება იყო და ამიტომ არასოდეს ინტელიგენციას არ გამოვონებია(...). ქართველი ხალხის გაღვივება ნაციონალიზმის დროის ქვეშ ვერ მოხდა. საჭირო იყო ამ გარემოებისათვის ანგარიშის გაწევა, მისი ასე თუ ისე ცნობა და ნაციონალიზმის ახალ ქერქში გახვევა. ეს იტვირთა ამ 5-6 წლის წინათ ჩვენმა ინტელიგენციამ. პირველად ის გამოვიდა დემოკრატთა შემდეგ – ნაციონალ-დემოკრატთა (გულისხმობს 1901 წელს „ქართველ ნაციონალ-დემოკრატების კომიტეტის სახელით გამოცემულ პროკლამაციას და იმავე წელს გამართულ ნაციონალ-დემოკრატების კრებას – ვ. გ.), შემდეგ – სოციალისტ-ავტონომისტთა (გულისხმობს არჩილ ჯორჯაძეს და გაზეთ „საქართველოს“-ვ. გ.) და ბოლოს – სოც.-ფედერალისტთა (გულისხმობს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას – ვ. გ.).“ ნოე ჟორდანია ირონიულად აღნიშნავს,

რომ ნაციონალისტურ პოლიტიკურ პარტიათა მისწრაფება ყოველთვის რჩებოდა „ხმად მლაღადებლისა“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი, ისევე, როგორც სხვა სოციალ-დემოკრატები, იდენტურ ცნებებზე წარმოადგენენ „ნაციონალურს“, „ნაციონალისტურს“ და „შოვინისტურს“ და თავი ისე უჭირავთ, თითქოს ამ ცნებებს შორის განსხვავებას ვერ ხედავენ. ნოე ჟორდანია ალტაცებულია იმით, რომ „ჩვენი ხალხი ნაციონალიზმს დღესაც ისე უარყოფს, როგორც წინეთ და რა მშვენიერი ზონჩითაც უნდა მიაწოდო, ის ამ ზონჩას შორის ადგებს.“ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის უხეშ გაყალბებას წარმოადგენს ნოე ჟორდანიას შემდეგი დასკვნა: „საქართველოს ავტონომიაში ხალხმა დაინახა იგივე ანტირუსული და ანტიომბუხური მიმდინარეობა, რომელიც წინეთ იყო ჩვენში და რაც მან კაი ხანია დაგმო.“ მეტი დამაჯერებლობისთვის სრულიად ავტორმაუადგილოდ და ულოგიკოდ ორ ასოლუტურად განსხვავებულ ისტორიულ მოვლენას შორის გაავლო პარალელი: „საქართველოს პოლიტიკური ავტონომია, რაშიაც იხატება ჩვენი ინტელიგენციის მთელი ნაციონალიზმი, არსებითაა იგივე მოთხოვნისა, რომელიც კახეთის აჯანყებულ თავად-აზნაურობამ 1802 წ. წამოაყენა. განსხვავება იმაშია, რომ მაშინ თხოვლობდნენ მეფეს სრულიად რუსეთისა და შემდეგ მეფეს საქართველოსას. ახლა – პარლამენტს რუსეთისას და პარლამენტს საქართველოსას; მხოლოდ პოლიტიკო-ნაციონალური შინაარსი კი ერთია. მამასადამე, ეს დროსა სხვადასხვა ფორმით და სახელით უცვლელად რჩება მთელი საუკუნის განმავლობაში.“

მოვლენათა განვითარებამ უცილობლად დაადასტურა ერთი ჭეშმარიტება, რომ ქართული ეროვნული მოძრაობის უმთავრეს მოთხოვნა იყო და დარჩა საქართველოს ეროვნული ავტონომია, რომლისთვისაც ბრძოლა რუსეთის იმპერიის აღსასრულამდე არ შეწყვეტილა. ალბათ სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ნოე ჟორდანიასაც მიუწია უკან დახვევა, თუმცა საქართველოს ავტონომიის იდეა მას მაინც მოუღებლად მიაჩნდა და მხარს ამიერკავკასიის ავტონომიას უჭერდა.

(გაზრდობა იმნება) პასტანა გურული
(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3 გვ: 436-438)

რეგიონის მხატვრების საგაზაფხულო გამოფენა ოზურგეთში

ოზურგეთის სურათების გალერეის წინ ჯგამალ მიმინოშვილის სკულპტურა „გურული ფირალები“ დაიდგა



ალიონი. 25 მაისს, ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრში – სურათების გალერეა გურიის რეგიონალური მხატვართა კავშირის მიერ ორგანიზებული საგაზაფხულო გამოფენა გაიხსნა, სადაც 40-მდე ავტორის 100-ზე მეტი ნამუშევრია წარმოდგენილი. გამოფენის გახსნაზე მიწვეულ სტუმრებს, მხატვრებს მიესალმნენ ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძე, გურიის რეგიონული მხატვართა კავშირის თავმჯდომარე თამაზ დარჩია, ჩოხატაურის მუსიკალური სკოლის დირექტორი, მხატვარი მზია კვიციანიძე. მხატვარმა ვახტანგ მამეიშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობის და მერაბ კოსტავას დაბადების დღე მიულოცა შეკრებილთ და აღნიშნა, რომ გურიის მხატვართა კავშირის გამოფენა მნიშვნელოვანია და ამავდროულად აქ წარმოდგენილია ჯგამალ მიმინოშვილის ნამუშევრები „იაკობ შემოქმედელი“, „9 აპრილის ტრაგედია“, რომელიც გახლ-

ავთ საქართველოს პროტესტი რუსული აგრესიის მიმართ. მოქანდაკეები ჯგამალ მიმინოშვილი და ვასილ მჭავანაძე ძალიან საინტერესო ნამუშევრებს ქმნიდნენ. დღეს გალერეის ექსტერიერში დაიდგა ჯგამალ მიმინოშვილის სკულპტურა „გურული ფირალი.“ თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის, სურათების გალერეის დირექტორის ავთანდილ თავართქილაძის თქმით ეროვნული მოძრაობის წლებში გახსნილი სამხატვრო გალერეა დიდი მხარდაჭერაა მხატვრებისა და მოქანდაკეებისთვის. წელიწადში 2-ჯერ აწყობენ რეგიონულ გამოფენებს, სადაც მხატვრებს თავიანთი ახალი ნამუშევრების საზოგადოების წინაშე წარდგენა შეუძლიათ. დღეს რეგიონულ გამოფენაზე პირველად წარმოდგა მხატვარი და დიზაინერი მიხეილ თავებრიძე. ჯგამალ მიმინოშვილი, ვახტანგ მამეიშვილი, ვასილ მჭავანაძე, რევაზ ჯაში, ეს ის გუნდია, რომელთა სახ-

ელებსაც უკავშირდება ოზურგეთში სამხატვრო სკოლის გახსნა, შემდეგ 70-იანი წლების ბოლოდან დაწყებული მათ სამხატვრო სახელოსნოში მსჯელობდნენ ეროვნულ იდეებზე და ფაქტიურად აქედან დაიწყო ეროვნული მოძრაობა ოზურგეთში.

ჯგამალ მიმინოშვილის და ვასილ მჭავანაძის სახელს უკავშირდება ის შემოქმედებითი საქმიანობა, რამაც საფუძველი დაუდო პროფესიონალური ქანდაკების შექმნას ოზურგეთში.

ამ დღეს გალერეის წინ გაიხსნა ჯგამალ მიმინოშვილის სკულპტურა „გურული ფირალები“.



გილოცავთ, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს.. თითოეული თქვენგანი საქართველოს ხელბრუნებელია, მომავლია, რომელიც აუცილებლად იქნება წარმატებული.

მაკაა ჭყონია,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლაშენი ალფრედის ცენტრის დირექტორი

ქართული მუსიკოსის საქველმოქმედო პროექტი



უკრაინელი ლტოლვილი უღელმამო ბავშვების დასახმარებლად, ავსტრიაში მცხოვრებმა ქართველმა შემოქმედმა და მუსიკოსმა, **თათა ასათიანი-აიგნერი**, საქველმოქმედო საფორტეპიანო კონცერტს გაუკეთა ორგანიზება. ლონისძიება სახელად „ბავშვები ბავშვებისთვის“ ქვემო ავსტრიის ქალაქ ვაიდპოფენში, პლენკერის დარბაზში გაიმართა, რომელზეც თათა საფორტეპიანო კლასმა მიიღო მონაწილეობა. მოსწავლეებმა სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი ნახატებიც გამოფინეს მშვიდობის თემაზე. კონცერტს ესწრებოდა თურამეტი უღელმამო ბავშვი, რომლებიც ქალაქის ორგანიზებით უკრაინიდან ვაიდპოფენში ჩამოიყვანეს საცხოვრებლად. საფორტეპიანო სადამო სამ განყოფილება იყო წარმოდგენილი. პირველ ბლოკში „ფორტეპიანოზე დაკვრა სახალისო“ ძირითადად ყველაზე ახალგაზრდა მუსიკოსები იღებდნენ მონაწილეობას. შემდეგი განყოფილება სიმბოლურად გაზაფხულს მიეძღვნა და ბოლო განყოფილებაში კი „მოგზაურობა ქვეყნების გარშემო“ ყველასათვის ცნობილი ნაწარმოებები შესრულდა, რომელთაც წინ კომპოზიტორების შესახებ ინფორმაციული ტექსტები და სახალისო ფაქტები უძღვოდა. საქველმოქმედო სადამოს მოდერაციას თათა ასათიანი-აიგნერი

უკეთებდა. კონცერტზე მოწვეული იყო უკრაინელი ახალგაზრდა პიანისტი ნადია ლუნგუ, რომელმაც ფრედერიკ შოპენის და იოჰან სებასტიან ბახის ნაწარმოებები შეასრულა. ხოლო ლუნგუს პედაგოგთან, ანა ლენგაუერთან ერთად, თათამ დაუკრა გახსნა და ასევე დახურა კონცერტი საფორტეპიანო ნაწარმოებებით ოთხ ხელში. საქველმოქმედო სადამოზე შეგროვდა 1000 ევრო, რომელიც სრულიად ლტოლვილ ბავშვებს მოხმარდება. პროფესიით მუსიკოსი თათა ასათიანი აიგნერი (დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია) ავსტრიაში 2013 წლიდან ცხოვრობს. ამჟამად ის მუშაობს ფორტეპიანოს პედაგოგად, კონცერტ-მაისტერად, ავსტრიის ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტად. ასევე თათა წერს საკუთარ მუსიკას, აქვს კონცერტები და უკეთებს პროექტებს ორგანიზებას. მათ შორის აღსანიშნავია, მუსიკალური და მულტიმედია პროექტი „მზის შვილები“, რომლის პრემიერაც ამა წლის სექტემბერში შედგება. პროექტი აგებულია თათას მუსიკალურ კომპოზიციებზე, რომლებიც გაფორმდება მისივე სცენარების მიხედვით დადგმული ცეკვის პერფორმანსით და შუქის ანალოგიური ინსტალაციებით.

გურიის სამივე მუნიციპალიტეტში 26 მაისს აღსანიშნავად სხვადასხვა სახის საზიარო ღონისძიებები გაიმართა



7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე +14+30 30 მაისი ორშაბათი	მზე, ღრუბელი +14 +25 31 მაისი სამშაბათი	მზე, ღრუბელი +14 +23 1 ივნისი ოთხშაბათი	მზე, ღრუბელი +13 +21 2 ივნისი ხუთშაბათი	მზე +13+22 3 ივნისი პარაკვევი	მზე +13+22 4 ივნისი შაბათი	მზე, ღრუბელი +14+22 5 ივნისი კვირა
---------------------------------	--------------------------------------------	--------------------------------------------	--------------------------------------------	----------------------------------	-------------------------------	---------------------------------------